

## საქართველოს კანონი

### საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. VII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“თავი VII

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში.”

2. 89<sup>4</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 89<sup>4</sup>. ლიცენზირებადი სააღმზრდელო

საქმიანობის სალიცენზიო წესების დარღვევა

მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

3. 229<sup>5</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 239-ე მუხლის 58-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. 313-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. 314-ე მუხლის მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი